კვირა, 13 დეკემბერი 1915 წ. ფასი 10 კაპ.

რედაქციის ადრესი: თბილისი, ოლღას ქუჩა № 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეშმაკი-მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 31

ეშმაკი. ბატონო, ეს შენს ოჯახში რო შემოსულან და ამტვრევენ აქაურობას, რატო არაფერს იტევი?

ბერძენი. ახლა, მეგობარო, ნივთებს ამტვრევენ და მაშინ იქნება თავიც გადავაყოლო.

ფურცელი 978

ჩემი დღიურიდან.

7 დეკემბერი, 1915 წ.

მაშინ პატარა ვიყავი, დიდი-დი 25—26 წლისა. სოფლის მასწავლებლად ვმსახურებდი, ვინაიდან ეს ყველაზე უფრო ადვილი და ხელ-მისაწვდომი სამსახურია, ბედისგან მოძულებულთათვის. ვმსახურობდი პირნათლად, რამდენათაც კი ეს მოსახერხებელი იყო იმ შორეულ წარსულში.

არ ვიცი, ძილში სიზმრების დროს, ვსდუმდი თუ ვბოდავდი რასმე, თორემ დანარჩენ დროს: ე. ი. დილის 7 საათიდან, ვიდრე ღამის 12 საათამდე ჩემმა ენამ შესვენება არ იცოდა.

— ვლაპარაკობდი სასწავლო ოთახში მოსწავლეებთან.

— ვლაპარაკობდი შესვენების დროს მასწავლებლებთან.

— ვლაპარაკობდი სადილის დროს მედუქნე იოსებასთან.

— ვლაპარაკობდი ნასადილევს ვისთანაც კი მოვახერხებდი.

— ვლაპარაკობდი საღამოს სამკითხველოში, (თუმცა იქ ლაპარაკი აკრძალული იყო).

— ვლაპარაკობდი დაწოლამდი სკოლის მსახურთან

— და როცა მომუსაიფე არავინ მყავდა, ველაპარაკებოდი ჩემს საკუთარ თავს.

მაგრამ ჩემი დღესასწაული ეს ეგრედ წოდებული „პედაგოგიური საბჭოს კრება“ იყო. კრება კვირეში ერთხელ იმართებოდა, ხუთშაბათს. (მე რამდენიმე ჯერ აღვსძარი საკითხი, რომ კვირეში სამჯერ მაინც ყოფილიყო.) იწყებოდა საღამოს 5 საათზე და თავდებოდა, ან სრულ 12 საათზე, ან ნაშვალამევის პირველ საათზე. პედაგოგიური კრებიდან ისე დაქანცულ-კმაყოფილი ვბრუნდებოდი, რომ მეორე დღეს პირველ გაკვეთილს ყოველთვის ვაკლდებოდი და ამ გაკვეთილზე ჩემდა საბედნიეროთ მოწაფეები იმდენ რაღაცა უწესობას ჩაიდენდენ, რაიც სრულიად საკმარისი იყო ხოლმე პედაგოგიური საბჭოს შემდეგი კრებისთვის განსახილველ საგნათ.

ამ 7—8 საათის განმავლობაში მე ვლაპარაკობდი არა ნაკლებ 6—7 საათისა, ხოლო დანარჩენი დრო მეტ-ნაკლებობით ნაწილდებოდა — ხან სხვა მასწავლებელთა შორის.

ალბათ ჩემი ასეთი შრომის მოყვარეობითა და საქმის გულშემატკივრობით აიხსნება, რომ აღნიშნულ სასწავლებელში და ვგონებ თვით სოფელშიაც, **ორატორის** სახელი მქონდა გავარდნილი. მეც რასაკვირველია, სამართლიანად ვიფერებდი ამ დამსახურებულ სახელწოდებას და თავიც მომქონდა მით, მაგრამ, აი ერთ კრებაზე, ჩემს თავმოყვარეობას, ჩემს მოღვაწეობას, ჩემს იმედს სრულიად მოულოდნელათ წესი აუგეს.

მერმე არ იკითხავთ ვინ?

ყოველად უბრალო მასწავლებელმა ქალმა, რომელიც ახალ დანიშნული (ეს სიტყვა სამსახურში დანიშვნას შეეხება) პირველად დაესწრო ჩვენს კრებას. მე უკვე სამჯერ ვილაპარაკე არა ნაკლებ თითო საათისა. ჯერ კიდევ გაალმასებული ვიყავი, დაღლილობას ოდნავაც არა ვგრძნობდი. დღეს მთელი ჩემი ყურადღება იქითკენ იყო მიქცეული, რომ კრების ახალ წევრზე ჩემი ორატორული ნიჭით ერთგვარი, ჩემი ნიჭის შესაფერი შთაბეჭდილება მომეხდინა.

თავმჯდომარემ წამოაყენა მწვავე საკითხი: პირველი განყოფილების მოწაფის (დათიკო წრიპაძის) შესახებ, რომელსაც გზაში თავადი ვარლამის ძალღისთვის ქვა ესროლა და აეკოჭლებია. მე პირველმა ვითხოვე სიტყვის ნება. ვარკვერდი საკითხს თავდასხმისა და მოგერიების შესახებ, რაიც დღესაც არ არის ინტერესს მოკლებული და ვილაპარაკე საათ ნახევარი. შემდეგ სხვებმაც გამოსთქვეს თავ-თავის-აზრი, მდუმარებდა მხოლოდ ახალი წევრი ჩვენი საბჭოისა ქ ნი ელენე.

მე ძლიერ მიკვირდა ეს გარემოება, მეტადრე ქალისგან და კრების შემდეგ ვკითხე:

— თქვენ ალბათ საუკეთესო მუნჯური მეთოდით შესძლებთ მეცადინეობას და უეჭველია მალე დაწინაურდებით ჩვენს სასწავლებელში. ვინაიდან ლაპარაკი არა გცოდნიათ

— რატომ გგონიათ ასე?

— აი დღეს, ისეთი საყურადღებო კითხვები ირჩეოდა და ერთი სიტყვა არ გითქვამთ...

— სამაგიეროთ თქვენ ილაპარაკეთ ძლიერ ბევრი, თითქმის ყველას წილი.

— დიახაც ვილაპარაკე. შემიძლია ლაპარაკი და რისთვის არ უნდა ვილაპარაკო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე უფრო სხვა შეხედულებისა ვარ ამ საგანზე. ჩემის აზრით—**უმჯობესია კარგი მსმენელი იყო, ვიდრე კარგი მოლაპარაკე.**

— რაო, რა ბრძანეთ?

— ისა, „რომ უმჯობესია კარგი მოსმენა შეგეძლოს, ვიდრე კარგი ლაპარაკი. ეს ჩემი აზრი არ არის, მაგრამ მე მისი მომხრე ვარ.

იმ ღამეს არ მიძინია. სულ ამაზე ვფიქრობდი და მეორე დღეს ორი გაკვეთილი გამოვტოვე. მახსოვს, სიზმარში ერთ დიდ კრებასაც დავესწარ, მაგრამ წარმოიდგინეთ ხმა არ ამომიღია. ვიყავი ჩემთვის გაჩუმებელი და ვხედავდი ყველა ჩემს ნაცნობს როგორ უკვირდა ჩემი მდუმარება.

— როგორ, შეხედეთ, შეხედეთ, ბ-ნი ნიკიფორე ხმას არ იღებსო! გაისმოდა თითქმის ყოველი მხრიდან.

—

მას შემდეგ ძლიერ, ძლიერ დიდი დრო გავიდა: აბესინიის ნეგუსმა, მენელიკმა, იტალიელები დაამარცხა, ამერიკეთმა ისპანიას კუნძული კუბა წაართვა; ფილიპეს კუნძულებზე აჯანყება დაცხრა, იაპონიამ რუსეთს პორტ-არტური წაართვა, კაზირიომ სადი-კარნო მოჰკლა, რუსეთში პარლამენტი დაარსდა, სილოვან გაბუნიამ გიმნაზია და უნივერსიტეტი გაათავა, ინგლისეთმა ტრანსვალეთი დაიმორჩილა, დრეიფუსის საქმე დაიწყო და გათავდა, ოსმალეთ-სპარსეთის წესწყობილება შეიცვალა, ჩინეთში რესპუბლიკა დამყარდა და გადამყარდა, კახეთში რკინის გზა გავიდა, საერთაშორისო ომმა სრულიად შესცვალა ადამიანთა დამოკიდებულობა და მსოფლ-მხედველობა, წარმოიდგინეთ თვით წერა-კითხვის საზოგადოებამ საწევრო ფული 3 მანეთი მანეთად შესცვალა, არ შეცვლილა მხოლოდ ჩემი გადაწყვეტილება შესახებ ორატორობისა უკანასკნელ პედაგოგიურ კრებაზე მიღებული.

— უმჯობესია კარგი მსმენელი იყო, ვიდრე კარგი მოლაპარაკე!

—

გუშინ, კვირას, (6 დეკემბერს) ქ. შ. წ. კ. გ. ს. კრებას დავესწარ. ვიჯექი ჩემთვის და ვუცქეროდი. მიკვირს მე ქართველი ხალხის საქმე! ნეტავ რისთვის გაურბის იგი ამ საზოგადო კრებებს? ნუ თუ შეიძლება კაცმა სადმე ისე მხიარულად დრო გაატარო, როგორც აქ, ამ წლიურ კრებებზე?

ზიხარ შენთვის და შეჰყურებ. გამოდის ერთი ორატორი. ლაპარაკობს, ლაპარაკობს, ლაპარაკობს. გამოდის მეორე, მესამე, მეათე, მეოცე! ლაპარაკობენ და ლაპარაკობენ. რა ხელოვნებით, რა პაფოსით, რა ენით, რა მღელვარებით, რა ნაირათ გინდა იქ არ ლაპარაკობდენ. იქ უჭირთ მხოლოდ ერთგვარი ლაპარაკი... სახელდობრ:

— **ლაპარაკი საკამათო საგნის შესახებ**—

მე ვზივარ ხოლმე კუთხეში და ვუცქერი! გულში კი ვფიქრობ:

— შეუნდე მეუფეო მათ, რამეთუ არა იციან, **რომ უმჯობესია კარგი გაგონება შეგეძლოს, ვიდრე კარგი ლაპარაკი.**

ეშმაკი.



ქ უ რ ქ ი.

(მსახიობ ვასო აბაშიძის ნაამბობი)

„ეჰ-ეჰ-ჰეეჰ! ცუდი დრო დაგვიდგა, ჩემო ბატონო, ძალიან ცუდი! ამ ომმა მაინც სულ ააფორიაქა ჩვენი ცხოვრება... ღმერთმა ერთი ვით აცხონოს თუ მეორე არ წაწყმინდოსო—სწორეთ ჩვენს დროებაზეა ზედგამოჭრილი! აბა ერთი თვალი მოავლეთ ჩვენს დღევანდელ ცხოვრებას! გუშინდელი ქვეყნის გლახები და მათხოვრები დღეს საკუთარ ეტლებით დასეირნობენ და, პირიქით, ვინც უწინ ფუფუნებასა და განცხრომაში იყვენ, ბევრ მათგანს ეხლა ლუკმა პურიც აღარ მოეძევა! აი, თუნდ ჩემი მაგალითი აიღეთ. არ დამიჯერებთ და—თქვენი დამკვლელი ვიყო, თუ ამ წუთში ჯიბეში უზალთუნის მეტი მედოს! მერე—ისიც არ ვიცი, ყალბია თუ ნამდვილი! მე ვასო აბაშიძე და, ჯიბეში ერთი უზალთუნი! მოდით, ნუ გაიცინებთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე—მიზეზი? მიზეზი, ჩემო ბატონო, აკი მოგახსენეთ, ეს გაუთავებელი ომი გახლავთ. გეფიცებით გამჩენსა, რომ, რაც დარდანელი დაიკეტა, მას შემდეგ არც ჩემ ქისას გახსნია პირი: ჩასადები არა მქონია-რა და ამოღებითაც რა ჯანდა უნდა ამომელო, თუ შიგ არაფერი ჩამიდვია... ღვთის წინაშე, დარდანელის დაკეტვამდისად ვერ იყო რიგზე აწყობილი ჩემი ბიუჯეტის საქმე, მაგრამ მე ამ გარემოებასაც ომს ვაწერ, ჩემო ბატონო, ამ საერთაშორისო ომს კი არა, აი ბალკანეთის ომი რომ იყო ამ 7—8 წლის წინათ. ხოლო რაიცა შეეხება ჯიბის იმ კრიზისს, რომელსაც ბალკანეთის ომამდე განვიცდიდი—ჩემის აზრით რუსეთ-იაპონიის ომის გავლენით უნდა ყოფილიყოს გამოწვეული. გარნა კიდევ უნინდელი უნუგეშო მდგომარეობა ჩემი ფინანსებისა—ალბათ—რუსეთისა და ჩინეთის შეტაკებამ შექმნა. ამის დაგვარათ, ჩემის ბიუჯეტის რყევის პირველნდელ მიზეზის ძიებას თუ შეუდექით, 1877—78 წლების რუს-ოსმალთა ომს მივადგებით. თუმცა, ცოდვა გატეხილი სჯობია, არც მანამდე მქონია ბაჯაღლოები, მაგრამ განა მანამდე კი არ იყო ომები?

ომი—აი ერთად ერთი მიზეზი ჩემი ეკონომიური დაქვეითებისა. სხვაგვარი ახსნა ესოდენ ხანგრძლივისა და გაუთავებელი ფინანსიური კრიზისისა ყოვლად შეუძლებელია ჩემო ბატონო!

ღმერთმა უშველოს ქართველ საზოგადოებას! ის იყო მუდამ ჩემი სასო და ნუგეში... მეტათ კეთილი და გულ-ჩვილი ვინმეა! რა წამს შეამჩნევდა ჩემს გაჭირვებას, ფიცხლავ დატრიალდებოდა ხოლმე.

— ვასო-ჯან, შენ რა გიჭირს, ნიჭი გაქვსო,— მეტყოდა.

აბა ქართველმა საზოგადოებამ რა იცოდა, რომ ეს ჩემი ნიჭი არც იჭმეოდა, არც ჩაიცმოდა და დაიხურებოდა. გულუბრყვილო ვინმეა და ეგონა რომ—როგორც თითონ საზრდოობდა ჩემ ნიჭსა, ისე მეც შემეძლო მისი შამფურზე წამოგება და შეწვა, ან კიდევ ჩახოხბვა და სუფრაზე გამოტანა ან კიდევ თერძისთვის მიტანა და თქმა:

— აი, გეთაყვა: მომიტანია შენთვის 7 არშინი საუკეთესო ნიჭისა და ერთი ლაზათიანი ტანისამოსი შემიკერე-თქო.

ან, ვინ იცის, შეიძლება ეგონა, რომ ის ნაირ-ნაირი ტანისამოსები, სცენაზე რომ ვიცვამდი ხოლმე სხვა და სხვა როლში—სულ ჩემი საკუთრება იყო!..

თუმცა ეგრე მშველოდა ჩვენი საზოგადოება (ღმერთმა სამაგიერო გადაუხადოს!), მაგრამ გასულ ზაფხულის მიწურულში მაინც დიდ საგონებელში ჩავვარდი. საქმე აი რა გახლავთ: ჩვენ ომის მიმომხილველთა და პოლიტიკოსებივით წინასწარმეტყველი არა ვარ, ჩემო ბატონო, მაგრამ გამოცდილებით ვიცოდი, რომ ზაფხულს უთუოდ შემოდგომა მოჰყვებოდა, ხოლო შემოდგომას ზამთარი. ისიც კარგათ ვიცოდი, რომ შემოდგომაზე ჰაერი საგრძნობელათ აგრილდებოდა, ხოლო ზამთარში სიცივეს დაიჭერდა. სამწუხაროთ ისიც კი ვიცოდი, რომ კარზე მომდგარ სიცივესთან საბრძოლველათ თბილი პალტო არა მქონდა და მიმდინარე ომის ჩემ ჯიბეზე გავლენის გამო ყიდვაც არ შემეძლო.

დიდი განსაცდელი დამიდგა. ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ, გადავწყვიტე ჯარში მოხალისეთ ჩაწერა. თან მამულს გამოვადგები და თანაც უპალტოობას ავიცდენ მეთქი, ვიფიქრე და შესაფერი თხოვნაც დაუყონებლივ შევიტანე სათანადო უწყებაში. მაგრამ იმედი გამიცრუვდა და უარი მითხრეს: მცირე წლოვანი ხარო. საქმე გამირთულდა. ხსნა არსაით იყო და სასოწარკვეთილებამ შემიპყრო. მაგრამ, ვნახოთ, ბედმა გამიღიმა და ერთს, მარად მოსაგონარ დღეს შევიტყე, რომ ჩვენი წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობა აცხადებდა, ხახანაშვილისეულ ქურქს ვყიდითო; იმედის ფრთა შემესხა. რაღა თქმა უნდა, მაშინათვე აღვძარი შუამდგომლობა და ვითხოვდი, რომ ხსენებული ქურქი დაეთმოთ ჩემთვის რაც შეიძლება ხელმისაწდომ ფასათ და არა უგვიანეს ენკენისთვის შუა რიცხვებისა (თხოვნა მარიამობისთვეში შევიტანე). ჩემი სურვილი ქურქის შეძენისა ყველაზე უწინ გამგეობის მდივანმა, ბ. ვარლამ ბურჯანაძემ გაიგო, აი იმ ვ. ბურჯანაძემ, წ. კ. საზოგადოების წლიურ კრებებზე რომ ოქმებს ოტელოს მონოლოგებსავით კითხულობს და ისედაც ჩამორჩენილ ქართულ სცენას კონკურენციას უწევს. წ. კ. საზოგადოების ოტელომ გამგეობის კრებაზე თურმე განაცხადა:

— სიდარბაისლით, ძლიერებით სახელ განთქმულნო,
კეთილ შობილნო და სულდიდნო უფალნო ჩემნო:
მართალი არის ქურქი ესე, გასაყიდია,
ისიც სწორია, რომ მას დღემდე არვინ ყიდულობს,

მაგრამ როგორ იქმს გამგეობა, როგორ იკადრებს, რომ ჩვენი სცენის ოქროს ვარაყს, ლაზათს, შვენებას,
ჩვენ სასყიდელი, თუნდაც მცირე, გავაღებინოთ,
დეე მიეზღოს კეისარსა კეისარისა,
და ჩვენს ვასოსა ძღვნათ მიერთვას ქურქი ნამკვდრევი!

სენატორები დაეთანხმენ ოტელოს წინადადებას და განაცხადეს:

—პრინციპიალად არა გვაქვს-რა წინააღმდეგი, ხოლო კონკრეტად გადაწყვეტა ამაკითხვისა, ესოდენ რთულის, თავ-სატეხის, მნიშვნელოვანის, პირველ კრებასვე, ერთის დაკვრით, არ შეუძლია და ამის გამო, ვგონებთ, რომა სჯობს საქმისთვისა შემდეგ კრებისთვის გადაიდოს...

გადასდეს შემდეგი კრებისთვის. შემდეგმა კრებამაც ვერ გადასწყვიტა მართლაც რომ ეგრე დახლართული საკითხი და მხოლოდ ორად ორმა ორატორმა ძლივს მოასწრო ქურქის შესახებ სიტყვის წარმოთქმა. რაღა ბევრი გავაგრძელო, თუ არა ვცდები, მგონი, ᲧᲐ კრება მოანდომეს. ეხლა რომ წ. კ. ს. კრებებს ვუკვირდები და გამგეობის ზოგიერთ წევრთა ლაპარაკს ვისმენ, სწორე მოგახსენოთ, ძალიან მიკვირს და მიხარიან, რომ ეგრე ჩქარა გამოარკვიეს და გადასჭრეს ქურქის საქმე.

ამისდაგვარათ ზაფხულში ნათხოვარი ქურქი შუა ზამთარში მომივიდა.—ჯანი გავარდეს!—ვფიქრობდი მე:—მართალია, ცალი ფეხი და ცალი ყური კი დამიზრო კიდეც ყინვამ, იმათ არა ეშველებაარა, მაგრამ მეორე ცალებს ხომ მაინც შევინარჩუნებ მეთქი და სიხარულით შევიმოსე ჩემი ქურქით. ერთ საათს მოვუნდი, დაახლოებით სარკეში შინჯვას (დიდი სარკე არა მაქვს და ვიდრე ჩემ პატარა ჯიბის სარკით ყველა ნაწილებს დავათვალიერებდი რატომ საათზე მეტი არ გაივლიდა!) და დავრწმუნდი, რომ მშვენივრათ მადგა. თითქო ჩემ ტანზე ყოფილიყოს შეკერილი!—ეხლა გავიხადოთ და კოხტათ ჩამოვკიდოთ,—ვთქვი გუნებაში და ფოლაქები გავიხსენი. მაგრამ აი გავიხადე ქურქი და მე რომ დევინახე, თქვენმა მტერმა და ორგულმა დაინახოს! მეწისქვილე რა არის, ნიადაგ ფქვილში რომ ისვრება, ისე ვიყავი შეფქვილული მთელ ტანზე, თითქოს ნ ფუთი კირი შეეფრქვიოსო ჩემთვის. ელდა მეცა. ცალკე ქურქის ზარალი და ცალკე კიდევ ჩემი ერთად ერთი რიგიანი კოსტიუმის ამ გვარათ გაფუჭება.

თურმე, ვიდრე „სენატორები“ ჩემ ქურქის საკითხს სწყვეტდენ და კრებაზე მხურვალე სიტყვებს წარმოსთქვამდენ, ჩრჩილი საქმეს აკეთებდა.

დღეს აგერ მეხუთე დღეა მას აქეთ და ჩემი ტანსაცმელი ჯერაც ვერ მომირჯულებია, თუმცა დილიდან საღამომდე მის წმენდას ვუნდები. რაც შეეხება ქურქს—თერძთანაა: 25 მანათი მთხოვა გასაკეთებლათ. ეხლა ქურქი მზათ იქნება, მაგრამ ვაი, რომ 25 მანათი არ არის მზათ!

მინდა, წ. კ. ს. მომავალ კვირის კრებას ვთხოვო, ისევ მან გამოიყიდოს ის ქურქი, თორემ მე... ხომ იცით, რა მდგომარეობაში ჩამაყენა საერთაშორისო ომმა?..

აი, ჩემო ბატონო, ჩემი ქურქის ამბავი. ამაზე კარგ მასალას იუმორისტი ვერც კი ინატრებს. ასწერეთ ვინმემ ჩემი ქურქი, თუ ღმერთი გწამდეთ. თუ კი გოგოლმა აკაკი აკაკიევიჩის „შინელი“ ასწერა, თქვენ რა წითელი კოპები ხართ, ვასო აბაშიძის ქურქი დაიწუნოთ ასაწერათ!..

სიტყვა სიტყვით ვათავსებთ ჩვენ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲨᲘ პატივცემული ვასო აბაშიძის ნაამბობს და ჩვენის მხრითაც მოვიწვევთ ქართველ იუმორისტებს, მიჰბაძონ გოგოლის მაგალითს და ღირსეულათ გამოიყენონ ეს მშვენიერი მასალა.

თაგუნა.

„ფოფოდიამა ბრძანაო“.

(ნობათი სოხუმლებს).

„ფოფოდიას“ ქართლში მღვდლის სჯულიერ მეუღლეს ეძახიან. არ ვიცი ახლა, ამ ომის მიზეზით, დალოცვილ ქართლში „ფოფოდიათა“ ავტორიტეტის კურსი აწეულია თუ დაწეული, მაგრამ ის კი დაბეჯითებით ვიცი, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ „ფოფოდიები“ იქ განუსაზღვრელი ნდობით სარგებლობდენ. „ფოფოდიას“ აზრი ამა თუ იმ საგანზე, პოლიტიკურსა თუ ბუნების მოვლენაზე, ქართლელებს ჭეშმარიტებათ და შეურყველათ მიაჩნდათ. ხშირად გამიგონია:

— „ფოფოდიამ“ ბრძანა კუდიანი ვარსკვლავის გამოჩენა წარღვნას მოასწავებსო.

— „ფოფოდიამ“ ბრძანა მავანსა და მავან წელიწადს შვიდი ხელმწიფე დაიჭიდებიან და ყველას წითელი ხელმწიფე მოერევაო.

„ფოფოდიამა“ ბრძანა! მორჩა და გათავდა, რაც მან ბრძანა ის კიდეც ასრულდება, „ფოფოდიის“ აზრის წინააღმდეგის წარმოთქმა, ცოდვაა. შეიძლება რომის პაპა შეცდეს, მაგრამ „ფოფოდია“ კი არასოდეს.

ასე იყო ქართლში მას ჟამსა შინა, მაგრამ ჩვენ არ გვეგონა, თუ ამ მეოცე საუკუნეში და იგიც დასავლეთ საქართველოს ერთ ფხიზელ ქალაქში, ქალაქის ხმოსნები ერთ პიროვნებას „გააფოფოდიებდენ“ და ყველა მის სიტყვას ერწმუნებოდენ. არ გვეგონა, მაგრამ ერთი ასეთი შეუცდომელი სერთუკიანი ფოფოდია აღმოჩნდა ქალაქ სოხუმში. ეს გახლავთ თავადი ნიკო ყარამანის ასული თავდგირიძე*). ეს ის ნიკო გახლავთ, რომელიც ერთ დროს ოზურგეთს თაობდა და რომლის თაობის დროს ნატანებიდან ოზურგეთამდე და ოზურგეთიდან ბახმარო-სურებამდე რკინის გზა გაიყვანეს. ოზურგეთი ნიკოს თავობას არ შეელეოდა მაგრამ მისი ბედი შეშურდა სოხუმს და სოხუმმა ოზურგეთს ნიკო მოსტაცა.

ბევრი რამეც გააკეთა ნიკომ სოხუმის საკეთილდღეოთ რომელთა ჩამოთვლა ჩვენს ძალას აღემატება. ცხადია ნიკო ვერას გახდებოდა და რაც გაკეთდა იმის მეასედსაც ვერ გააკეთებდა, თუ რომ სოხულმლების „ფოფოდია“ არ იყოს — მართალია სოხუმში არჩეული ხმოსნებია, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ ფოფოდია ნიკოს ნააზრევს და ნაბრძანებს ხმა შეუბრუნებლივ დაემორჩილონ, ყველაფერზე კვერი დაუკრან და დასტური დასცენ. ნიკოც ჭირის ოფლს იწმენდს ხმოსანთა მაგიერ ორატორობს, ხმოსანთა მაგიერ პროექტობს, ყველას მაგიერ დელეგატობს, ასე წარმოიდგინეთ ერთი დუქნის მეორეზე მიქირავების საქმესაც ნიკო კისრულობს.

— ნიკომა ბრძანა! და მისი ბრძანება სოხუმელ ხმოსანთა და მოქალაქეთათვის სავალდებულოა.

ამ დღეებში სოხუმელ ხმოსნებთან შემდეგი შინაარსის საუბარი მქონდა.

მე. გავიგე, რომ თქვენ (ესე იგი სოხუმის ქალაქის თვნთმართველობას ანუ უკეთ ნიკოს თვითმართველობას) შუამდგომლობა აღგიძრავთ აფხაზეთში ფართე კოლონიზაცია მოაწყოთ უცხოელებისა, ვინაიდან ადგილობრივი მკვიდრნი ზარმაცნი და უნიჭონი არიანო.

ხმოსანი. ნიკომა ბრძანა და ჩვენც დავეთანხმეთ!

მე. გავიგე რომ ამასთანავე შუამდგომლობა აღგიძრავთ სოხუმის ოლქი ქუთაისის გუბერნიას ჩამოეჭრას და ცალკე გუბერნია დაარსდესო. ასწონ-დასწონეთ თუ არა ეს კითხვა და წარმოიდგინეთ თუ არა იმისი შედეგი თქვენი თხოვნა რომ შეიწყნარონ?

ხმოსანი. ნიკომა ბრძანა და ალბათ კიდეც აწონ-დაწონა და კარგიც იქნება!

მე. გავიგე რომ გითხოვნიათ ზუგდიდი ქუთაისს მოაშორეთ, სოხუმის ოლქს შეუერთეთ და სოხუმში საოლქო სასამართლო გაგვიხსენითო. დაეკითხეთ თუ არა ზუგდიდლებს და აფხაზებს, გაიგეთ თუ არა მათი აზრი სურთ თუ არა მოწყდენ ქუთაისს?

ხმოსანი. ნიკომა ბრძანა და ალბათ ასე ჯობს.

მე. გავიგე რომ გიმნაზიის პედაგოგურ საბჭოზე დამსწრე წევრებათ აგირჩევიათ სხვათა შორის ალფეროვი, აფხაზებისა და საზოგადოთ ქართველების დიდი „მოყვარული“ კაცი.

ხმოსანი. ჩვენ არც ერთი კანდიდატი არ აგვირჩევია, ნიკომა ბრძანა და ჩვენც დავეთანხმეთ.

მე. გავიგე რომ სახალხო უნივერსიტეტისათვის დაპირებული 300 მან. არ მიგიციათ, რატომ?

---

*) მოგახსენებენ თ. ნიკო შუამდგომს მეუღლის გვარის ტარების ნება მომეცითო, თუ ეს შეიწყნარეს (რაც ფაქტიურათ უკვე განხორციელებულია) მაშინ ის იქნება კნეინა ნიკო ყარამანოვნა კომინოსი.

ხმოსანი. ნიკომ ბრძანა და მიტომ,

მე. ნამესტნიკთან ქალაქის რწმუნებულად ვინ აირჩია ნიკო, ტომარა და მარკოვიჩი?

ხმოსანი. თვით ნიკომ ბრძანა: მე ტომარა და მარკოვიჩი წავალთო.

მე. მაშ ნურას უკაცრავათ, თუ თქვენ, ხმოსნებს, ნიკოს ტომარა გიწოდოთ.

ხმოსანი. თუ კი ნიკო ბრძანებს.

ტარანა.

აღორძინების ხანა.

ბ-ნ პ. ა. გოთუას შემდეგი შინაარსის დეპეშა მოუვიდა მიტროპოლიტის პიტირიმისაგან: გულწრფელი სიხარულით გაუწყებთ, რომ სინოდის დადგენილებით აღდგენილ იქმნა ქუთაისის სემინარია.

(გაზ. „საქართველო“ 163.)

პეტროგრადელ ქართველთა დეპუტაცია საგანგებო ბჭობად შემოკრბა.

ჯერ კიდევ საღებავის სუნი ასდიოდა იმ ქაღალდის ფურცლებს, რომლებსაც ქუჩებში დააქროლებდენ მეგაზეთენი და რომელზედაც აღბეჭდილი იყო ქართველთათვის უსასიამოვნესი ცნობა: ეგზარხოსის, ყოვლად სამღვდელო პიტირიმის, პეტროგრადის მიტროპოლიტად დანიშვნის შესახებ.

ქართველი კაცი ყოველთვის, ყველაფერ საქმეში შორს მჭვრეტელია და აი, ახლაც დეპუტაცია არა თუ უკვე შესდგა, ბჭობასაც შეუდგა.

— ბატონებო; დაიწყო თავმჯდომარემ,— ვგონებ აღარავისათვის საეჭვო არ არის, რომ ჩვენს ქვეყანას ამ ბოლო დროს ბედი უღიმის. ბედი უღიმის მას ყოველგვარ ეროვნულ საკითხში და ბრწყინვალე მომავალსაც უქადის. დღეს კი, როდესაც დეპეშამ ესდენ საყურადღებო ცნობა მოგვიტანა, თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ბედმა პირდაპირ თვალებში შემოსცინა. ღვთის მშობლის წილხვედრით ივერიის წმინდა ეკლესიას, ახალი მფარველი და მოამაგე მოუვლინა მას. ჩვენი ვალია, ბატონებო, გამოვიმუშაოთ შესაფერი მუხლები მოთხოვნილებათა და წარუდგინოთ ყოვლად სამღვდელო პიტირიმს, რომ მან მედგრად დაიცვას უწმინდეს სინოდში ჩვენი ეკლესიის კანონიერი უფლებანი და მოთხოვნილებანი. მე წინადადებას გაძლევთ ვისაც რით შეგიძლიათ დაგვეხმაროთ სასურველ მოთხოვნილებათა შედგენაში და საჭირო მუხლთა გამომუშავებაში.

კამათი, როგორც მოსალოდნელი იყო ცხარე გამოდგა და ცხრა დღეს გაგრძელდა. ბევრმა ორატორმა ისახელა თავი და გამოიჩინა ღრმა ცოდნა ივერიის ეკლესიის ისტორიისა. მეცხრე დღის მეცხრე ჟამს უკვე გამომუშავებული იყო ცხრა მუხლი მოთხოვნილებათა და უკანასკნელათ დამტკიცებულ იქმნა.

აი ეს მუხლები:

„ღვთის მშობლის წილ-ხვედრილ ივერიის წმინდა ეკლესიის მფარველსა და მოამაგეს, ყოვლად სამღვდელო პიტირიმს გულწრფელი სალამი და სიყვარული ამა ეკლესიის შვილთაგან. მასთან ერთად წარმოგივლენთ უწმინდეს სინოდში წარსადგენათ და დასაცავათ ცხრა მუხლის უძველეს ივერიის ეკლესიის მოთხოვნილებათა, რომლის მედგარ დაცვას უწმინდეს სინოდის კრებებზე ქართველი ერი და ივერიის წმინდა ეკლესია ანდობს თქვენ ყოვლად უსამღვდელოესობას.

1) წინადადება მიეცეს უწმინდეს სინოდს, რათა ფამფალეთის წმინდის გიორგის ეკლესიის პრიჩეტნიკი ხარიტონ ჭელიძე გადაყვანილ იქმნას ბახვის ღვთის მშობლის ეკლესიაზე, ხოლო ბახვის პრიჩეტნიკი სარდიონ ანთაძე ფამფალეთში.

2) ნება მიეცეს სოფელ ჭოპორტს, ისარგებლოს ძველი სასაფლაოთი, ვინაიდან ახალი სასაფლაო სახაზინო და სადაო ადგილი აღმოჩნდა.

3) ნება დაერთოს საეკლესიო კრებულს, რათა სადაო საქმენი არჩევისა და სხვა შემოსავალთა განაწილების დროს მომხდარნი სამედიატორო სამართლით გადასწყვიტოს.

8) აღდგენილ იქმნას ჭაჭიეთის ეკლესიის შტატი და აშენდეს მუნ სამრეკლოც.

9) მიენიჭოს ქართველ სამღვდელოებას სრული უფლება მონაწილეობა მიიღოს სამრევლო სკოლის შენობის ასაგებ ადგილის არჩევის გადაწყვეტაში.

ყოვლად სამღვდელო პიტირიმი

ყოველთვის უსაყვედურებდა ქართველებს: თქვენ თითონ არ ცდილობთ თქვენი ეკლესიის უფლებათა აღდგენას და სხვებმა რა ჰქნანო“. ახლა, კი სხვა ხანა იწყება.

ეშმაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრიანი. თვალი არ გიჭრის და ხელი, მიკვირს როგორ მიგიღეს?

შავიანი. მიმიღეს, როგორც ხედავ! მე ის მაკვირვებს შენ როგორ გადარჩი, მეგობარო.

თეთრიანი. სრულიად უბრალოთ. აი აქ, ამ ალაგას, საცა მარჯვენა ხელი მიძევს კარგა დიდი „სიმსიმნე“ მქონდა. იმან მიშველა.

შავიანი. ახლა?

თეთრიანი. ახლა, რაკი ექიმებმა „ოპერაცია“ მიქნეს „სიმსივნე“ საგრძნობლად დაცხრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



წვრილი. უთანასწოროთ არის ბატონო განაწილებული ქვეყნის დოვლათი, უთანასწოროთ.
მსხვილი. ჰეშმარიტათ გეთანხმები, ყველაფერი უხეიროთ არის განაწილებული.
წვრილი. კარგი, მაგრამ თქვენ რაღას ემდურით, როცა ქვეყნის სიმდიდრე თქვენს ხელშია?
მსხვილი. ჩემის აზრით უფრო სამართლიანი იქნებოდა ჰკუა რომ კაცს მუცელში ჰქონოდა და არა თავში.

ᲨᲐᲠᲐᲓᲘᲐ

1

ჩვენ გვინდა სიტყვა, რომელსაც
ხმარობს ქართველი ტეტია
გამოძახილზე პასუხათ;
სხვა განმარტება მეტია

შემდეგ, თუ გახსოვთ თქმულება
ძველთა-ძველ მეცნიერისა,
საქვეყნო ფილოსოფოსის,
მკვლევარის მრავალ ფერისა—
ამ სიტყვას ხმარობს სხვა და სხვა
ხალხი, ქვეყანა, ნაცია
საძებარს როცა იპოვნის
(ვინც ვერ სცნა რაღა კაცია?)
სამ მარცვლოვანის ჩვენ ორი
გვჭირია ბოლო მარცვალი
პირველს მოვეპყრათ ვითა გერს
ეპყრობა დედი ნაცვალი.

სახელი რამე გამოდის
დიდის საერთო გვარისა,
ვაჭრობით გალაღებულის,
„მოძულე“ სისხლის ღვარისა,

ევროპას იხთის მეხარკეთ,
მის უღელს ელის აზია.
მხედრობით, ფლოტით, ტეხნიკით
ძლიერი და ლამაზია.

ამ ბოლოს რაღაც უხშირა
მან საომარი ნავები
ახალი ტიპის წყალწყვისა
და უცხო სანახავები.
საქმით სხვას შვრება, სიტყვით კი
აწყობს „საზავო“ გალობას,
თანაც განაგრძობს საეკვო
საჯიბე ნეიტრალობას.
ოქროს აქუჩებს, არა დგას
ჯერ ომის გუნებაზედა.
და თუ დაიწყო ვინც შეხვდეს
ხმელეთზე გინდა ზღვაზედა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას ვერ გაუძლოს ბრძოლაში
ტეხნიკით, ვერცა ძალითა,
მე როგორც „მხედარს“ ყველა ეს
მინახავს ჩემი თვალითა.

ბუტუნა.

2

რადგან დღეს ჯარმა მრისხანემ
იბრუნა ჩვენსკენ პირია,
ამიტომ ჩვენაც პირველი
აურაცხელი გვჭირია.
მან უნდა იხსნას მეორე
და მისი კიდე-მზღვარია,
(სადაც ბევრია ქალაქი
დანგრეულ-გადამწვარია).
მეორეს შარადისათვის
მეტი აქვს ასო ერთია,
(რომელიც ქორონიკონში
ორასზე ორჯერ მეტია).
როს მოვიშორებთ ამ ასოს
და სხვებს კი დავსწერთ სრულადა
სამეფოს სახელს მივიღებთ
განწყობილს ჩვენთან მტრულადა.
იქ ძალი პატრონს ველარ სცნობს
მეფეს არ უსმენს ერია,
ველარ არჩევენ ვინ არის
მოყვარე ანუ მტერია.
დღეს ორსა მოპირდაპირეს
მაზედ უჭირავს თვალია
თუ ვისი ლუკმა გახდება
გვაჩვენებს მომავალია.

კვახი.



ქუთაისის „ტრიანტში“

(გურული სცენა)

„ვირს რომ ზურგი აქავდება, საბაჟოის კარებზე მიადგებაო“ ნათქვამია, სწორეთ ისე დამემართა. არა, რა ჯანდაბა მინდოდა ტრიანტში, რა ჩემი საქმე იყო იქინე შესვლა, მარა რომ შეგიჟდება ეშმაკი ფხარში, იგია, აგაბუნდრუკებს და უფიქრებელს გაფიქრებიებს. სამი წელიწადია აგერ წყალტუბოს აბანოზე გადავწყვიტე წამოსლა, დოხტურებმა მითხრეს გრამატიზმის ქარი გაქვს ფეხებში და წყალ ტუბო მოგიხთებაო. ვზომე, ვზომე, ვფიქრე, ვფიქრე, მაგრამ სანამდე არ მომიკრუნჩხა ფეხები რაცხა ჯანაბა ქარია, ვერ გადავწყვიტე წამოსვლა; გამიჭირდა ნამეტარი, ერთი საპანე ადესაი მქონდა შემონახული, გავყიდე ოთხ თუმნათ, დევიწერე პირჯვარი, მივედი წყალტუბოში, ვიბანავე ერთი კვირე, ნამეტარი მომიხთა, ფეხებს რომ ვერ ვმართავდი, ახლა მოვრჩი კაცი. ერთ კვირეს მერე დავბრუნდი... ვთქვი, მოდი ერთს ისე არ წავალ, დევიარ ქუთაისის გოროდს მეთქინ.

გევიარე, გამევიარე, მივედი ერთ დუქნის წინ. თელი ქუთეისის ხალხი შეყრილიყო და სეირნობდენ. მეც ევიარ-ჩევიარე, მარმ ვაი იმისთანა ჩარებას, ველარ გავატანე ხალხს, კალამ გამჭყნიტეს. ერთსალაკაი გამოჭრილი იყო კედელში და იქიდან ბილეთებს ყიდდენ. მივედი და ვიკითხე: პოვეზდის ბილეთს ხომ არ ყიდით მეთქინ! დამაყარეს სიცილი, პოვეზდის კი არა ტრიანტის ბილეთებს ვყიდითო, ამელამ წარმოდგენა არისო. წარმოდგენა არისო, რომ სთქვა, ქე მივხვთი, ჩვენ სოფელშიც ქე ვიყავი ნაყურები, ძალიან გამიხარდა, გევიკარი ჯიბეზე ხელი და ვუთხარი, მეც მომყიდე ერთი იაფიანი ბილეთი მეთქი; იაფიანი თუ გინდა სამ აბაზიანი გვაქვსო—კაი, აბა მომეცი მაგი მეთქინ.. მომცა და მითხრა, აგერ, კარი რომ არის იქიდან ადი ზეით და ქანდარაზე დაჯექიო.

მომივიდა კუჭი და უყვირე, რას მეხუმრები თუ იცი მეთქი! ქანდარაზე დავჯდე, რავა ქათამი ხომ არ ვარ, არც ისე ხამი გეგონო, რო ფიქრობ, ქანდარაზე ჩვენში ქათმები ჯდებიან მეთქი, მივაძახე და გამოვბრუნდი... გულში ვამბობ: შენ ვერ იცნობ, პავლიას, გარედ იყო, გიჩვენებდი სეირს

მეთქინ. მივედი კარების ახლოს, ევიხედე, პწკალასავით კიბე მივა საცხა ზევით; ვიფიქრე, ბიჭო, სად მივა აგი ხალხი ამ სახლის საკატრავში, მართლა ქანდარაი არ იყოს აქანაი მეთქინ. ვუყურე, ვუყურე, მარა არ ელირსა ხალხს ათავება, აწოხბიან ერთმანეთს, წიწავენ, გლეჯენ არიან ერთ საქმეში.

გამახსენდა, ზაქარიეს ეზოში ჩამურის ქვაი რომ მივიტანეთ, ისე ვაწობოდით ერთმანეთს.

რავარც იქნა მივედი ასავალ კარებთან, მოგაწვენ იქიდან აქედან მარა, რაფერ, ცოტა მშიერი ვიყავი, თვარა შენი მტერისას, მე მარცხი მომივიდოდა, დამიმბილეს ძვლები. რავარც იქნა ევედი ზევით. ევედი თვარა, ვინცხა რუსი მომახტა პალტოზე და ქე მაძრობდა, ვსტაცე ხელი და უყვირე; მომშორდი აქიდან მეთქინ. Что такой баринъ. пальто повѣсить нада"-ო. შენ ოჯახ დასაქცეო, ვამბობ გუნებაში: გინდა ამ ევროპიაში სირცხვილი მაჭამო, ამ პალტოს რომ მაძრობ, ერთი იკითხე, ქვეშ რანაირი ახალუხი მაცვია, ღვდლის ოლარივით არის ზოლებათ დახეული მკთქინ. გევექეცი იმას, წევედი, დავჟედი წინ საჟდომზე, ამეკვითქვი სული და გევიხედ-გამევიხედე... გადვირიე კაცი, რა დეინახა ჩემმა თვალებმა. მართლა ქანდარაზე რომ იქნება ჩაწკაპული ქათმები, ისე იყო თელად ჩამომჯდარი ქალი და კაცი სკამებზე... ევედი თვარა, საცხა დაკრეს დიდ ქვაბს ურო. შეიქნა ტაშის კვრაი, მარა, რაფერ... ყვირიან ჩემს უკან, ყვირიან ჩემს გვერდით, ჩემს წინ... გევიხედე, გამოვიხედე... ჩემს გვერდით ბიჭები ჟდანა, ჟდანა მარა, რაფერ: ერთი რომ ჟდანა, ერთი წინ უდგანა, ერთი უკან სკამზე ფეხით არის შემდგარი, ასთე ერთ ადგილზე სამი კაცი ეტევა...იმზირებიან წინ კედრით, უშტიალებენ ვინცხას თვალებს. გევიხედე იქითკენ, რას ვხედავ ამას, თლათ გაფსებულია იგი კედარო წითელ კაბიანი ციცეებით. რა ამბავია აგი, ვიფიქრე, აღდგომა, ხომ არ არის ხვალე. წითლად რომ გამოწყობილან მეთქინ, მერმე ვკითხე იქინე ვინცხა გვერდში მიჯდა.—იგინი ღვდლის შვილებია—ეპრახიალისტკებიო; უი, ძამია, ღვდლის შვილები თუა წითელსაც კი შეიკერავენ და ყვითელსაც, ჩემმა ივლიტიამ იკითხოს თვარა მეთქი... ივენი ქე იჟდენ წუნარათ, მაგრა, აგენი (თურმე ღემლაზისტები ყოფილა) უშტიალებენ თვალებს, ყრირიან: „პონჩიკ, ასმუშკა, ველო, და რა ვიცი, რა ენაზე არ ყვირიან, დეიწყო წარმოდგენა, მარა ვინ გაცაცა, იმის შეხედვა და ყურება; ერთი წინ ამოგვიდგა, მეორე ზურგზე მომადგა. მესამე და მეოთხე მუხლებზე დამაჯდა, დამჯორგეს უბედურათ. შექნეს ყვირილი და ჩოჩქოლი, იმას ვიღა დეინახარდა რას შობოდენ სცენაზე, აგერ იყო ზევით წარმოდგენა... ვიყვირე: დევირჩვი თქვენ ოჯახ დაქცეულებო, ნუ დამჯორგეთ მეთქინ. პაწე ამიშვეს და მევითქვი სული. ვიკითხე, რავა, ჩვენში რომ იქნება წარმოდგენა ტრიანტი, რაცხა წესრიგი ქე არის მეთქინ და აქანაი რავა. რეიზა არ იცავთ წესრიგს მეთქინ.

— რავა არ ვიცავთო, მითხრა ერთმა, შეხედე ეგერ გოროდოვოები რომ არის, იგენი წესრიგიზა არიან იქ, უნდა ადევნონ, თვალ ყური, თუთუნს ვინც არ წევს ტრიანტში, გარეთ გაგდებსო, მაგრამ ამ წესრიგს ქე ასრულებენ, თუთუნს ყველაი ქე სწევსო.—კი, მარა, აი ბაღნები რომ აჟდებიან თავზე ერთი მეორეს, პატრონი არ ყავს მეთქინ? —მაგენი ღემნაზიელებია, მასე იციანო. მაინც არაფერი მაქ, მარა, ღმერთმა დამიფაროს, მე ღემნაზიაში ბალანაის მიბარება. ასე გათავდა ჩემი ტრიანტში ყოფნა, გამოვედი გარედ, მარა, გრამატიზმები ისთევლე შამომაფრინდა მუხლებში, ისე ვიყავი დაბუჟებული, ორჯერ დავეცი.

ლუკაიეს ობოლი.



მოსენაბა

ველისციხე. ჩვენა გვყავს ახალ მოსული
ეშმაკი გეო ვაჭარი...
(სიფრთხილე გვმართებს ყოველთა,
არ დაგვეღუპოს სახლ-კარი)!

ეს ვაჟბატონი, წინა დროს,
„დემოკრატითურთ" შვილითა
სოხუმის მცხოვრებთ ჰკვებავდა
შაქარ-წყლიანი ღვინითა.

და როცა ამა ვაჭრობით
ჯიბე გაივსო ფულითა
კვლავ ველისციხეს მიადგა
თავის ადათით, რჯულითა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ აქ, გეო ეშმაკმა
მიმართა უკვე სხვა ხერხსა:
სინოყივრისთვის პურის ფქვილს
აურევს, თურმე, ნახერხსა.

მეხი.

—

სოფ. კაცხი. აღსრულდა!.. ადგილობრივი სასწავლებლიდან, პირ ნათლად და პატიოსნათ მოვალეობის ასრულებისთვის განდევნით დაჯილდოებულ იქმნა ხელ-საქმის მასწავლებელი ქალი. შკოლის მმართველი უკმაყოფილო შეიქნა მით, რომ ხელსაქმის მასწავლებელმა ვერ დაუმზადა 42 სანტიმეტრიანი ზარბაზანი—„ჩემოდანი“ მტრების საწინააღმდეგოთ. საჭიროა საქმეში ეშმაკის ჩარევა და მტყუანის გასამართლება!

დუდული.

—

ახალ-სენაკი. გთხოვთ მათრახის კუდი ზომით იმდენი გამოაგზავნოთ, რამდენიც სკოლის დარაჯს გადააწყვიტა ძველი სენაკის სკოლის ზედამხედველმა მამა ევსევი ხოფურიამ. თუ იმდენი არა, ნახევარიც იკმარებს.

ტყაში მაფა.

—

ს. გორდი. შენ ალბათ იცნობ, ეშმაკო
დიმიტრის, მაგვარს მგლისასა,
ამ სოფლად „ნაქებ“ მოღვაწეს
„ატუტანტს“ მინგრესკისასა.

ხმა დადის:—შეისწავლაო
მან „ჩინებული“ წერაო,
ტყავი შეაძრო სუყველას
ვისაც კი დაემტერაო!

ვურჩიოთ, სოფელს ნუ ჩათვლის
მარტოდენ ცხვრების ფარადა,
იკმაროს, თორემ ბალიც ხომ
წვერში გამოდის მწარადა.

აწ შევიაროთ გიორგის,
სამმართველოში ნელაო,
თავისი ენა ტკბილობით
მადლიერი ყავს ყველაო...

გულნატკენია სოფელი;
აჰყვა დავითის რჩევასო
„პოსობიების“ საქმეზე
აბაზის გამოჩენასო!..

ჯერ ეს ვიკმაროთ, ეშმაკო
და შევაჩეროთ სტვირია!?
შენც მადლიერი იქნები
და მეც შემრჩება ცხვირია.

ტიკტიკა.

ფოსტა

ველისციხე—ზღარბს. მაგ საგინზე დეპეშა ერთხელ იყო ჟურნალში.

ცხინვალელს. ეგ მესამეჯერ მოგვდის თქვენი ლექსი. რასაკვირველია არც ერთი არ დაბეჭდილა. დქვენ მეოთხეს აგზავნით. არც ის დაიბეჭდება. მარკის ფულით უმჯობესია ერთი მახათი შეიძინოთ... ხარაზობას მაინც ისწავლით.

ფიჩხის ჯვარი—(გრამოფონს). მშვენივრად უკრავთ მაგრამ რომელი ჰანგია ვერ გავიგეთ. რედაქციამ უნდა იცოდეს ვისზე სწერთ და რატომ სწერთ.

ჯიხაიში—ისარს. თქვენ წინადადებას გაძლევენ „დაასახელოთ ვისაც ბრალსა სდებთ“ თუ პასუხი გსურთ დაასახელეთ.

ბაქო—ღუტუნიას. თქვენი ლექსი ძნელი გასასწორებელია და შრომის დახარჯვა შინაარსით მაინც უნდა ანაზღაურდეს ხოლმე. არც ამის იმედია.

ყვირილელს (და ბ-ნ ზუგდიდელსაც). სურათებს, მეტადრე პროვინციიდან გამოგზავნილს ჩვენი რედაქცია დიდის სიამოვნებითა და მადლობით მიიღებს. მაგრამ სურათი უნდა შეეხებოდეს რაიმე საზოგადო საკითხს და მხატვრობის მხრივაც თუ თითონ მოიკოჭლებს ჩვენ მასალათ მაინც გვეყოფა.

ამიტომ ყველა სურათს თან უნდა ახლდეს შინაარსის განმარტება და პიროვნებათა ვინაობა. მხოლოდ ამ გარემოებაში შეუძლია რედაქციას მოწოდებული სურათის გამოყენება.

საჩხერე. ლოფონოზს. რედაქციამ უნდა იცოდეს რასა სწერთ, ან რაზე სწერთ.

ბათომი—შხამიანს.

„ხელში ავიღე საწერ-კალამი
და განვიძრახე შარადის წერა

მკითხველსა მივეც მცირე სალამი,
მაგრამ თუ დავწერ მაინც არ მჯერა“.

დაწერით კი დაგიწერიათ, მაგრამ სამწუხაროთ არ ვარგა. ამასთანავე, გახსოვდეთ, რომ ხელში მარტო კალამი უნდა აიღოთ, ხოლო საწერელი სტოლზე დადგათ, ასე იციან საზოგადოთ.

მაღაროს ბიჭს. თქვენი გამოცანა ჩინებული დაწერილია, მაგრამ მოგახსენებენ სიმართლეს არ შეესაბამებაო.

ალი-მაშის. გთხოვთ შემოიაროთ რედაქციაში.

სტეფანე ნიკოლაიშვილს.

„გერმანია დაგვეტაკა
ვინდა გვიზამს ამის ვარესს“...

ყველაზე უარესს კაცს საკუთარი თავი უზამს ხოლმე.

ბათუმი ჭასკუნჯს. არ დაიბეჭდება.

განცხადება

იანვრის 7-დან ქ. ფოთში გაიხსნება კურსები მასწავლებლებთათვის. **მიზანი:** შესწავლა იმ საშუალებების, რომელთა მეოხებით მასწავლებლებს შეუძლიათ სულ მოკლე ხანში დაწინაურდეს, თუ გინდ მოკლებულ იყოს ცოდნას, ნიჭსა და გამოცდილებას.

შენიშვნა: ტყუილათ თავს ნუ შეიწუხებენ მხოლოდ ის მცირე ნაწილი მასწავლებლებისა, რომელნიც სულ სვინდისზე, პატიოსნებაზე და განვითარებაზე ბოდვენ.

პროგრამა: ტკბილი სალამი უფროსთან შეხვედრის დროს. ღიმილი მასთან ლაპარაკის დროს. როგორ უნდა გეჭიროს თავი უფროსთან, როცა სათხოვარი რამ გაქვს. თავაზიანი თანხმობა ყველაფერზე, რაც უნდა გიბრძანოს ან საზოგადოთ თქვას უფროსმა. ქება უფროსის იმ პირებთან, რომლებიც, დარწმუნებული ხარ, უეჭველათ გადასცემენ მას. როგორ უნდა დაიცვა სრული სიჩუმე, თუ სადმე უფროსის ძვირი გაიგონე. როგორ უნდა მიუხვდე უფროსს, რაც სურს და რა მოეწონება მას, როცა ჯერ არაფერი არ უთქვამს. მილოცვა პირადათ ან წერილით აღდგომას, ახალ წელიწადს და სხვა შემთხვევების დროს.

პატივის ცემა იმ პირთა, ვინც შენს უფროსთან დაახლოვებულია. პედაგოგიური ფოკუსები. პროტექცია და ბევრი სხვა.

კურსები ორ თვეს გაგრძელდება, მასთან უფასო იქნება, ვინაიდან ხელმძღვანელი ასეთი ღვაწლისათვის ისედაც მიიღებს უჩინარ ჯილდოს.

კურსებისთვის რეკლამა საჭირო არაა. ვინაიდან თვით ხელმძღვანელის ცხოვრება და წარმატება ცოცხალი რეკლამაა. მიღება უეგზამენოთ.

პომპოლიკი.

გამოვიდა **ბ. ეშმაკის** მიერ შეღგენილი და კანტორა „განათლების“ გამოცემა

ბალკანეთის ქარტა

ფასი ერთი ბბაზი. პროვინციის აგენტებს დაეთმობა 15 კაპ.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Ольгинская 6. С. Таварткиладзе.

დაიბეჭდა და ამ მოკლე ხანში გამოვა კ. თავართქილაძის მიერ შედგენილი და კანტორა **„განათლების“** მიერ გამოცემული 1916 წლის.

ბედლის კალენდარი

კალენდარი დასურათხატებული იქნება მწერლების და საზოგადო მოღვაწეობის სურათებით, მოზრდილი ფორმატის.

დაკვეთა ეხლავე შეიძლება შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Почтовый ящикъ № 96. С. Р. Таварткиладзе.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალსასრული ადამიანის ცანჯვისა!

სუსუნატის წამლოგა.

5 წელიწადი გავიდა, რაც ჩემი გამოგონილი წამალი „**რაპიდი**“ გასასყიდად გამოვიდა, სამკურნალო ბაბჭოს ნებართვით № 1295, სუსუნატის წამლობისთვის, როგორც მაგარი, ისე ხრონიკულისა. ამ ხნის განმავლობაში „რაპიდი“-ს პრეპარატით ათასობით ავათმყოფი სრულიად განიკურნა, რომელთაგანაც სამადლობელი წერილები მაქვს. წამლობის ასეთი ნაყოფი უფლებას მაძლევს, პრეპარატი „რაპიდ“-ი, როგორც ყველაზე არსებითი და სწრაფად მომქმედი საშუალება ამ სნეულებისა, ვურჩიო ყველას.

უკანასკნელ წლის დაკვირვებამ კვლავ დაამტკიცა, რომ „**რაპიდ“-ის პრეპარატით წამლობის შემდეგ სუსუნატი რომ არ მორჩენილიყოს ამისთანა შემთხვევა არ არის,** ამისათვის გადაჭრით ვაცხადებ, რომ რაც უნდა ხანგრძლივი იყოს ავადმყოფობა ჩემი გამოგონილ საშუალებით სამ კვირაში წამლობა საკმარისია სუსუნატის მოსარჩენათ, **და „რაპიდ-“ის შემწეობით სრულიად მორჩენილად უნდა ჩაითვალოს.**

მართალია, უკანასკნელ წლებში სუსუნატის (გონორეი) წინააღმდეგ ბევრი საშუალება გამოჩნდა, რომელნიც ჩქარა და არსებით განკურნებას ჰპირდებოდნენ და ავადმყოფთ, შესაძლოა, გულიც გაუტყდა ამ წამლობის უნაყოფობით და სამართლიანად შეუძლიანთ ეჭვის თვალით შეჰხედონ ჩემს წამალსაც,—ამ შემთხვევაში მამთს ყურადღებას იმ გარემოებაზე მივაქცევ, რო ჩემი რწმენა „რაპიდ“-ის უებრობაში და ჩემი დაპირება ლიტონი სიტყვა რომ არ არის, ამის დასამტკიცებლათ ყველას, ვინც ჩემგან პრეპარატ „**რაპიდ“-ის** ორს ორმაგ ფლაკონს (წამლობის მთელი კურსი) დაიბარებს, წამალთან ერთად ეგზავნება ჩემგან ხელწერილი, რომ უკეთუ არ მოარჩინოს, ფულს უკანვე დაუბრუნებ.

ნიმუში ჩემის ხელწერილისა: „მე, ამისა ქვემორე ხელისა მომწერელი, ამ ხელწერილს ვაძლევ ბატონს (ამას და ამას) იმაში, რომ მივყიდე რა მას ჩემი „პირად“-ის ორი ფლაკონი, სუსუნატის წინააღმდეგ, თავდები ვარ, რომ ოცი დღის წამლობის შემდეგ ეს სნეულება სრულებით გაჰქრება. თუ აღნიშნულ ვადაზე რომელიმე ლაბორატორიაში შარდის კამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდება განუკურნებელი, მაშინ ვალდებული ვარ რვა მანეთი დავუბრუნო“ (ხელ. მოწერ.).

ზემოდ მოყვანილ ცნობას, რომ ბევრს განკურნებულ ავადმყოფებისაგან სამადლობელი წერილები, გადავწყვიტე ჩემს განცხადებებში მოვათავსო ხოლმე ახალი მადლობის წერილები. ამ წერილების დედანი (აუარებელი) ჩემთან ინახება და ყოველს მსურველს შეუძლიან მაჩვენა. წერილების სინამდვილეში თავდები ვარ, თუ რომელიმე მათგანი დედანს არ ეთანხმება, **ვალდებული ვარ, გადავიხადო 1000 მანეთი რომელიმე საზოგადოების სასარგებლოდ.**

17. მ. ხ., ბ-ნო დელამურე! დიდად გმადლობთ თქვენი წამლის „რაპიდ“-ისათვის, რომელმაც ერთბაშათ იქონია კარგი გავლენა. ძნელია განცხადების დაჯერება, მაგრამ თქვენი განცხადება კომერციული მოსაზრებით არა ყოფილა, არამედ ავადმყოფს განკურნებას ურჩევს, ამაში თვითონ დავრწმუნდე, განმეორებით გიხდით მადლობას.

ნოგგოროდი 14 მარტი, 1914 წ. ვ. ნ. ვ. ნ.

წალმობის სრულ კურსის, ორმაგ წყვილ ფლაკონის და კოლოფ პილულის ფასი ცხრა მანეთი. გაგზავნით და ფასდადებით ათი მანეთი. ფასდადებით გაიგზავნება მხოლოდ მაშინ, თუ ბედ წარმოადგენენ 3 მანეთს.

Съ требованіями и заказами обращаться исключительно кавказское отдѣленіе Московской Лабораторіи М. Деламури. Тифлисъ Эриванская площ. Пушзинская 3 отд. э/м. верхный этажъ.

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ

ᲒᲐᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲯᲐᲜᲓᲐᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲡ — ᲛᲘᲘᲠᲗᲕᲘᲗ

ᲛᲝᲚᲝᲗᲝᲕᲘᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ!

ᲩᲘᲚᲓᲔᲠᲚ-ᲛᲐᲓᲚᲔᲚᲘᲡ
ᲡᲐᲛᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

— ღვინო ისე გაძვირდა, რომ ლარიბმა კაცმა იქნებ ზიარებისათვისაც ვეღარ იშოვოს! ღვინის ასეთმა გაძვირებამ, ღვინოზე აქციზის შემოღებამ და ბოთლებზე ბანდეროლების დაკვრამ ბევრი დააფიქრა. ჯერ კიდევ შობა-ახალწლამდი რამდენიმე დღეა, მაგრამ ბევრი ჭკვე ტირის და მოსთქვამს, არ იცის კაი დღეებზე დრო რითი გაატაროს. მე კი არხეინადა ვარ. **რა ჯობია ლაღიძის წყალს**! ვენაცვალე მის ასე გემოვნებით შემზავებელს, კაი დღეებს სიფხიზლეში გავატარებ, არც დავთრები და არც აყალმაყალს ავტეხ. გირჩევთ საკაიდღეოთ თქვენც **ლაღ ძის წყალს** შეექცეთ და ისიამოვნოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქ თფილისში

გამოდის ყოველ-კვირეული იუმორისტული გამოცემა

ეშმაკის მათრახი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ ეშმაკი და თაგუნა, ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია.

ჟურნალის ფასი 12 თვით 5 მ. ✦ 6 თვით 3 მ. ✦ 3 თვით 1 მ. 50 კ. ✦ 1 თვით 50 კ.

„ეშმაკის მათრახში“ დაიბეჭდება მ ხ ო ლ ო დ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვესები და სხვა.

✦ **ჟურნალში დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.**

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მასალები გამოგზავნონ ამ ადრესით:

Тифлисъ *)

С. Р. Таварткиладзе.
Олгинская 6,
Почтов. ящ. № 96.

(ეშმაკის მათრახისათვის)

*) ეს ადგილი კონვერტზე მარკისათვის არის დანიშნული და გულმავიწყებს მოვაგონებთ, რომ
✦ უმარკო წერილებს რედაქცია არ დაიხსნის ✦

ნებადართ. სტმს. ცენსორისგან. სტამბა „შრომა“. რედაქტ.-გამომცემელი თეოფილე ბოლქვაძე.